გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 17/10/2012

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №1012/16-1

2012 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, ნომერი 127 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომრები 64 და 150 .

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6
127	AL-QAIDA IN THE ARABIAN PENINSULA (AQAP)	ა) Al-Qaida of Jihad Organization in the Arabian Peninsula; ბ) Tanzim Qa'idat al-Jihad fi Jazirat al-Arab; გ) Al-Qaida Organization in the Arabian Peninsula (AQAP); დ) Al-Qaida in the South Arabian Peninsula; ე) Ansar al-Shari'a (AAS) ვ) Al-Qaida in Yemen (AQY)		19.01.10 (ცვლილე-ბები 04.10.12)	AQAP არის Al-Qaida-ს რეგიონული მოკავშირე და ძირითადად არაბეთის ნახევარკუნძულზე მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფება. მდებარეობა: იემენი (Yemen) ალტერნატიული მდებარეობა: საუდის არაბეთი (Saudi Arabia) (2004-2006) შექმნილია 2009 წელს Al-Qaida in Yemen-ისა და Saudi Arabian Al-Qaida-ს შერწყმის შედეგად. AQAP-ის მეთაური: ნასირ „აბდ-ალ-კარიმ „აბდულაჰ ალ-ვაჰიში (Nasir 'abd-al-Karim 'Abdullah Al-Wahishi). მოადგილე: საიდ ალი ალ-შიჰრი (Said Ali Al-Shihri). Ansar al-Shari`a შეიქმნა 2011 წლის დასაწყისში AQAP-ის მიერ და აიღო პასუხიმგებლობა იემენში (Yemen) ხელისუფლებისა და მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ შეტაკებებზე.